



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030680344921919

22 / ნოემბერი / 2019 წ.

თბილისი #06-232/თ

ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურისათვის მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს (შემდგომში-ცენტრი) სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება სარგებლობაში უვადოდ, თანდართული დანართის შესაბამისად, გადაეცეს: სამტრედიის, წყალტუბოს, თერჯოლის, წალენჯიხის, ახალქალაქის, თბილისის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მუნიციპალიტეტების მერიებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს, ა(ა)იპ ქ. თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის და ეროვნული სკრინინგ ცენტრის საჭიროებისათვის.
2. ცენტრი, ამ ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას ბალანსიდან იხსნის ქონების გაცემის მომენტიდან.
3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ცენტრის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს ზურაბ ბარიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ბ-ნ გიორგი ნონკოლაურის 2019 წლის 20 ნოემბრის № 01/19597 წერილი.
2. ცენტრის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსის 2019 წლის 7 ნოემბრის #15806 მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე